№ 153 30 მკათათვე, კვირა 1866—1878 30 მკათათვე, კვირა № 153

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: ძველი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელ სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

მიიღება ნახევარი წლის ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზე“

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (პირველ ივლისიდამ პირველ იანვრამდინ 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპეიკი.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

საქართველო

კიდევ შიში ომიანობისა

საქმე გათავებული გვეგონა. . ვამბობდით: ბერლინის კონგრესმა გაათავა თავის მოვალეობა; თითქმის ყველა სახელმწიფოებმა მოაწერეს ხელი ამ კონგრესსისაგან დადგენილ მორიგების პირობას, ანუ ტრაქტატს; ვამბობდით: ავათ იქნება, თუ კარგათ, მშვიდობიანობა დროებით მაინც დამყარებულად უნდა მიგვაჩნდეს-მეთქი.

მაგრამ ახლა ზოგიერთი ისეთი ნიშნები ჩნდება, ჯერ ბერლინის ტრაქტატი არც კი „გაციევბულა“, ის არც კი დაუმტკიცებიათ ჯერ ყველა სახელმწიფოებს და ხელ-ახლად ისეთნაირად აირ-დაირევა ევროპის საქმეები, რომ ზოგიერთები ძალა-უნებურად ჰკითხულობენ:—იქნება კიდევ ომი, თუ არაო?

მართალია, როგორც პოლიტიკოსები ამბობენ, „პოლიტიკური ჰორიზონტი მოღრუბლულია“; მართალია და ჭეშმარიტი, რომ ბერლინის ტრაქტატმა ძალიან ნაკლებად დააკმაყოფილა ევროპის უმთავრესი და უმცირესი სახელმწიფოები და ზოგიერთებში უფრო მომეტებული შური და უკმაყოფილებაც ჩამოაგდო; მართალია, ბოსნიაში სისხლის ღვრა ხდება ავსტრიის ჯარების შესვლის დროს; თესსალიაში და ეპირში კიდევ უარესად არის აღელვებული ხალხი; იტალია უკმოყოფილად არის, საფრანგეთი კიდევ მომეტებულ უკმაყოფილებას აცხადებს და სხვ. და სხვ.

ყველა ეს მართალია. მაგრამ რაც უნდა იყოს, ევროპის საქმეები ისეთ ნაირად არის ახლა მოწყობილი, რომ ომს ამ მოკლე ხანში მაინც არ უნდა მოველოდეთ. და არ უნდა მოველოდეთ იმიტომ, რომ თითქმის არც ერთს ევროპის უმთავრესს სახელმწიფოს არ უნდა ომი.

ინგლისსა და ავსტრიას არ უნდათ იმიტომ, რომ ბერლინის ტრაქტატმა, სხვა თუ არა, ეს ორი სახელმწიფო მაინც სრულიად დააკმაყოფილა.

რუსეთს არ უნდა იმიტომ, რომ დაღალულია გასულის ომისაგან, დასვენება ეჭირება.

გერმანიას ხო, რასაკვირველია, არ უნდა იმიტომ, რომ რაც შეიძლებოდა ომის საშუალებით მიღება იმან უკვე მიიღო და ახლა იმას არავითარი ინტერესი არა აქვს გაერიოს რომელსამე ომში.

საფრანგეთი უომოთაც შეიძლება ძალიან ადვილად დააკმაყოფილოს ინგლისმა.

დარჩნენ წვრიმალი ხალხები: ბერძნები, სამხრეთ ბოლგარიელები (აღმოსავ-

ფელეტონი

„ივერიის“ მონასტერი ბოლგარიაში

(„დროების“ კორრესპონდენცია),

ბანკოვის მურჯი, 29 ივლისს.

სტანიმაკის ქალაქიდამ ორი საათის სავალია, ხოლო ფილიპოპოლიდამ ექვსი საათისა (30 ვერსი) ამ აღნიშნულს მონასტრამდის. მონასტერი დგას ს. ბანკოვის თავში, მდინარე ჩეპელდერესის ხეობაში. მდებიარობა მშვენიერ მდიდარს სურათს წარმოადგენს: შენობაა აღშენებული მაღალს ადგილას, შემოზღუდულია მაღალის გალავნით, შემკული შიგნითა და გარეშემო მშვენიერის ცივი წყაროებით, ბაღებით, ბოსტნებით, ხეხილით, მარჯვენას მხრით ჩამოუჩახჩახებს თერგზედ უფრო მფოთიანი და მჩქეფარე მდინარე ჩეპელდერესი, რომელზედაც გადადგმულია მაღალი ხიდი ქვით-კირისა; გარშემოდგან გადმოიცქირებიან პატარა ბალკანის მთის ქანჩახები, ბექურები და ფერდობები ნაძვითა და ჯაგნარით სავსე; გზა ამ ხეობაში დაკლაკნული და საცალფეხოა; მონასტრის ბოლოს ბულგარების სოფელი ბანკოვა მდებარეობს.

ეს ხსენებული მონასტერი არის აშენებული რომის მეფის ალექსისაგან მეათე საუკუნეში. ამ ადგილას თუმცა ძველთაგანაც მონასტერი ყოფილა გაბრიელ მთავარ-ანგელოზის სახელობაზედ; მაგრამ, რადგანაც მონასტერი რომელიმე შემთხვევის გამო გაუქმებულა და ყურის მგდებელი აღარავინ ჰყოლია, ამისათვის შენობაც დანგრეულა და შემდეგ აქა აღნიშნულ რომის მეფეს ალექსის განუშვენებია „ი ვ ე რ ი ი ს წ მ. ღ ვ თ ი ს-მ შ ო ბ ლ ი ს ხ ა ტ ი ს“ ს ა ხ ე ლ ო ბ ა ზ ე დ.

ხატი „ვედრებისაა“ მშვენიერი სასოებიანი, ვერცხლით შეჭედილი და ვერცხლშივე ხუცურის ასო მთავრულის ასოებით ნაწერი. მაგრამ სამწუხაროთ სულ ვერ გადმოვსწერე, რადგანაც ხატს სხვა ახლად შემოსტყმული ვერცხლიცა აქვს გულამდის, რომლის გამოც მომეტებული ნაწილი წერილისა დამალულია; არხიმანდრიტმა ნება არ მომცა ხატის დაშლისა და გარდმოწერისა. ამის გამო რაც ასოები სჩანდა, შეუცვლელად ისე გადმოვსწერე, მხოლოდ ასომხედრულათ. მწერლობა ორ ნაწილად განიყოფება, ე. ი. ხატის მარჯვენას მხრით და მარცხენას მხრით:

დ ე დ ა ღ ვ თ ი ს ა ი ვ ე რ ი ა

† ხატი ესე ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობლისა, წელსა შნ. (950) პეტრე რუისელისაგან. ორთა ძე მათა სახსოვრად მ. ყოველთა ვიტრატის-შვილთა ორი ძესი: ათანა და ოქროსპირესა: და ძმა—ძეთა. მ: კ:

რ. ძველსა მეფობასა კეთილ-მსახურთ მეფეთა ანდრონიკე: მტლ; და ანდრონიკესსა პალეოლოლის ძესა ქართლის კონსტანტინეს და დიმიტრისა ბაგრატოისა დასაბამიდგან შ: ტ: ი. თ. ქთ.—ღვთის-მშობლის

. . . .

როგორც არხიმანდრიტმა დამარწმუნა, დანარჩენი დაფარული მწერლობა ორივე მხარეს სრულს სიტყვას არ შეად-

ლეთი რუმელია), კანდიელები, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მაჰმადიანები, სომხები და სხვ.; მაგრამ ამათ ვინ გააბედვინებს ხმის ამოღებას და კიდეც რომ ბევრი იყვიროონ, რა გამოვა, ვინ გაუგონებს? ახლანდელს დროებაში, როგორც მოგეხსენებათ, ქვეყნის საქმეები ხრმლის წვერზედ ტრიალობს: გაქვს მაგარი მკლავი და კარგი ხრმალი, კეთილი, შენს ხმას გაიგონებენ და თუ არ გაიგონეს, ძალათ გააგონებ; სუსტი ხარ, და გაჩუმდი, ყველა ძლიერს შეუძლიან დაგჩაგროს, შეგჭამოს და ხმის ამოღებას, მიდგომას, შენი კაცური უფლების დაცვას ნუ რა ვისგან მოელი.

სულ ბევრი-ბევრი რაც შეიძლება მოხდეს, ეს ის იქნება, რომ საფრანგეთსა და ბერძნებს ცოტა რამე მიწებს ან უფლებას მისცემენ და დანარჩენთ უბრძანებენ: გაჩუმდითო.

სულ სხვა იქნება, დიდ სახელმწიფოებს რომ ომი ენატრებოდესთ; მაშინ ისინი პატარა ხალხების არეულობაში და ყვირილში მიზეზს ნახავდნენ ომისათვის, თვითონაც ჩაერეოდნენ. ახლა კი დიდებიან დაკმაყოფილებულნი არიან, ან ადვილად დასაკმაყოფილებელი და ან მოქანცულნი.

აი ამ მოსაზრებების გამო, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახალი ომის შიში უსაფუძვლო შიშია; ჯერ-ჯეროობით, ამ რამდენიმე წლის განმავლობაში მაინც ომს აღარ უნდა მოველოდეთ..

ს. მ.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ჩვენ გვითხრეს, რომ ვერაზე ამ დღეებში ერთს იუნკერს რუსს თავი მოუკლავს რევოლვერითა.

ნამდვილი მიზეზი ამ გარემოებისა ჯერ არა შეგვიტყვია-რა. უეჭველია, ამ საქმის თაობაზედ გამოძიება იქნება დანიშნული.

*** დღევანდელს „თფილისი მოამბეში“ დაბეჭდი ლიაუფ. შენინგის წიგნი, რომელშიაც აცხადებს, რომ ის და ეიღაც ნეიმანი ჰყიდიან ქალაქში ბელათის ქვანახშირს, თფილისის რკინის გზის სტანციაზე ფუთს 25 კაპეიკად და თვითონ ქალაქში კი 27-ად. ამავე წიგნში უფ. შენინგი ამბობს, რომ ეს ქვა-ნახშირი საუკეთესო ქვა-ნახშირი არისო.

ჩვენთვის, რასაკვირველია, სულ-ერთია—მოიგებს ამ ქვა-ნახშირით უფ. შენინგი ფულს, თუ არა; იმის საეჭვო საქმეებში არ ვერევით. მაგრამ ჩვენთვის სულ-ერთი არ არის—საზოგადოება მოტყუვდება, თუ არა; ამის გამო საჭიროდ ვრაცხთ ვთქვათ, რომ ბელათის ქვა-ნახშირი ცუდი, ძალიან ცუდი ქვა-ნახშირია, დასაწვავი და ალის, სითბოს მომცემი ნაწილები იმაში ერთობ ნაკლებათაა, ძალიან ადვილადაც იფხვნება.

ამას გარდა უნდა მიიღოთ მხედველობაში ისიც, რომ იმის ხმარება ჩვენებურს ფეჩში და ბუხარში ყოვლად შეუძლებელი საქმეა; არც დაიწვის რიგიანად და ისეთი ბოლი და მყრალი სუნი დადგება, რომ ერთ ვერსზე ვერ მიეკარება კაცი. დამტკიცება—თვითონ შენინგის პაილიონი, რომელშიაც სწვენ ამ ნახშირს და რომლისგანაც ისეთი მყრალი სუნი დგან, რომ ბაღში ველარ უსეირნია ხალხს.

*** ზემოხსენებულსავე გაზეთს მოსელია ნუხიდამ დეპეშა, რომელშიაც იწერებიან, რომ ამ დღეებში ნუსაშა და იმის ახლო-მახლო სოფლებში წვიმებისაგან საშინელი ნიაღვარი მოსულა და ბევრი ზარალი მიუცია ხალხისათვის, სხვათა შორის ერთს სოფელს ტალაში 7 კაცი დამღრჩვალა და 5 დაჭრილი არისო, 23 სახლი საძირკვლიანად წაიღოვო, ბევრი ყანები წალეკაო და სხვ.

*** ჩვენ მივიღეთ დღეს ორი ახლად დაბეჭდილი პატარა ქართული წიგნი, ერთი „ᲘᲒᲐᲕ-ᲐᲠᲐᲙᲜᲘ“, გამოკრებილნი „სიბრძნე-სიცრუის წიგნისაგან“ და ᲒᲐᲚᲔᲥᲡᲘᲚᲜᲘ თ. რაფ. ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ—საგან (გამოცემა უფ. გრ. ჩარკვიანისა) და მეორე „ᲜᲘᲜᲝ“ თ. რაფ. ᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲔ მოთხრობა.

Თ. რაფ. ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ გამოუკრებია თხუთმეტი იგავი საბა-სულხან ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ წიგნიდამ და გაულექსავს „იმ განზრახვით, რომ ყრმათა დაინერგონ კეთილი ზნეობა, განშორდნენ ბოროტსა მიდრეკილებასა და შეისწავლონ ძველებური ქართული მდაბიო ენა.“ ᲘᲒᲐᲕᲘᲡ ასახსნელს მუხლებში ჩართულია ქართული ანდაზებიც.

ᲘᲛᲘᲡ საჩვენებლად—თუ რა კარგათ არის გალექსილი თ. რაფ. ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ „სიბრძნე-სიცრუის“ იგავნი, მოგვყავს, მაგალითად, ერთი პატარა იგავი:

„ᲮᲐᲠᲑᲘ ᲥᲝᲠᲘ“

ᲔᲠᲗᲛᲐ ᲥᲝᲠᲛᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲘᲮᲕᲘ ᲮᲔᲚᲗ ᲘᲒᲓᲝᲗ,
ᲭᲐᲛᲐ ᲔᲜᲔᲑᲐ;
ᲭᲐᲜᲒᲕᲗᲐ ᲰᲧᲕᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲪᲝᲪᲮᲚᲐᲚᲘ, ᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲐᲠ
ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲠᲐᲛ ᲔᲜᲔᲑᲐ.
ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲨᲔᲛᲙᲠᲗᲐᲚᲛᲐ ᲙᲐᲙᲐᲑᲛᲐ ᲖᲔᲘᲓᲐᲛ
ᲩᲐᲛᲝᲣᲐᲠᲐ,—

გენს, არამედ თითო ასო წერტილებით არის გაყოფილი, როგორც მაგალითად—მ: კ. და სხ. . .

ამ მონასტერს გუჯარი ჰქონია, თალათინზედ ოქროს ვარაყით დაწერილი ამშენებელი მეფის ალექსისაგან; მაგრამ ოსმალებმა რომ ეს ქვეყანა დაიპყრო, როგორც აქედამ, ეგრეთვე მრავალი სხვა მონასტრების გუჯრებიც სულ სტამბოლში წაიღეს და დაწვესო და მხოლოდ სიტყვიერის გარდმოცემით ჩემის წინამოადგილეთაგან გამიგონია, რომ იმ გუჯარში იყო გამოცხადებული როგორც აშენება ამ მონასტრისა, ეგრეთვე ხატის გადმოტანა ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲓᲐᲛ და მრავალი სხვა-და-სხვა ამბავიო; მაგრამ ეხლა ჩვენ დაწვრილებით ნამდვილათ დროთა განმავლობის გამო აღარა ვიცით-რაო. ასე მითხრა არხიმანდრიტმა.

მონასტერი ძველს ბიზანტიის არხიტექტურაზედ არის აშენებული; კედლები სხვა-და-სხვა წმინდანების სურათებით სავსე; ძველი მხატვრობა მხოლოდ შესავალ კარებთან-ღა არის დარჩომილი.

ᲔᲮᲝ შენობა ძალიან ერეცელი ლია; ათას ორასი კაცი ჩვენის ცხენებით ერთი ღამე დავრჩით აქა და ნახევარზედ მეტი ცარიელი ადგილი იყო კიდენ დარჩომილი. ᲔᲮᲚᲐ ორმოც-და-ათამდის ნაკურთხი და უკურთხი ბერია თავიანთ არხიმანდრიტით; წირვა-ლოცვა ბერძნულათაა და ბულგარიულათ; თვით ბერებიც ზოგი ბერძენია და ზოგიც ბულგარი.

წელიწადში ორჯელ დღესასწაულობენ და მრავალი მლოცავიც მოდის თურმე. ეს მონასტერი ორჯელ არის გადარჩომილი გაცარცვასა და დანგრევასა: პირველად, როდესაც ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲛᲐ ეს ქვეყანა დაიპყრეს და მეორეც—ექვს იანვარს ამ აწმდგომ წელსა, როდესაც სულეიმან-ფაშის დაქსაქსულ ჯარმა გაიარა ამ გზით. ᲐᲛ დროს ბერებმა რკინის ალაყაფის კარები დაკეტეს და თოფები აიღეს ხელში; ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲘ მიადგნენ კარებზედ, ბევრი ულაქუცეს: „ცუდს არას ვიზამთ, მხოლოდ გვიჩხრეკამთ ცნობის მოყვარეობით, ცოტას გვთბებით, შავნაყრდებით და შემდეგ ჩვენს გზას გაუდგებითო“. მაგრამ არ მოტყუვდნენ ბერები, მხოლოდ პური-კი გადაეყარათ გალავნის სათოფეებიდამ; ოსმალებმა ძალა ვერ დაატანეს, რადგანაც უკანიდამ ჩვენის მდევრობისა ეშინოდათ და ამ სახით გადარჩა შეურყეველი.

ხალხს ძრიელ სასწაულ-მოქმედიან ხატათ მიაჩნია. ბერები ძალიან დაჭეშმარიტებით გვარწმუნებდნენ, რომ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲛᲐ რომ ამოიარეს, ეს ხატი გაიქცა და მახლობლათ ერთი დანგრეული ნასაყდრალია, იქ დაიმალაო. შემდეგ მტრის უკუმოქცევისა, წაველით და დიდის ვედრებით ძლივს მოვაბძანეთო. ᲔᲒᲠᲔᲗᲕᲔ ყოველ თავის დღესასწაულის წინა დღეს გაიქცევა ხოლმეო და მლოცველთ თანა-დასწრებითა კვალად მოვაბრძანებთ თავის ალაგასეო. ᲔᲮᲚᲐ თქვენს მოსელაზედაც გაქცევას აპირებდა, მაგრამ ჩვენ შევეხვეწეთ და არ გაუშვითო და სხ. . . .

ᲐᲛᲘᲡ გამგონე უაზახებმა იკრეს ხელი ჯიბეს და ორ ბერს, რომელთაც საგანძანაკო ღრმა ჯამები ეჭირათ, პირამდის აევსოთ. ..

Ზ. ᲖᲠᲔᲛᲔᲚᲘ

მას წაეტანა; (ვინ იცის, მასაც დაიჭერს თუ არა!)

Ეხვი კი გასხლტა. ამბობენ: „თავსა უშველა კარგაო.“

„ხარბს ქორს კი—ზღაპრად იტყვიან—ორივე დაეკარგაო.„

„ხარბის თვალი რით გაძღება?... ნუ თუ თქვენ არ იცითაო?

ნათქვამია: „მხოლოთ შავი მიწითაო!“

ორივე წიგნი გვარიანად არის გამოცემული. „�ав-Ѳракинъ“ ორ-შაურად ისყიდება და მოთხრობა „ნინო“ სამშაურად.

*** ჩვენ მვოგვიდა „ კ რ ე ბ ა“ სტატიებისა გამოცემული სამეურნეო საზოგადოებისაგან (Сборникъ Кав. Общ. Сельск. Хоз.), გამოცემა პირველი. ამ წიგნში დაბეჭდილია სამი ვრცელი სტატია: „ ჩ ვ ე ნ ი თ ე ვ ზ ი“ სტატია დ. ნ. სოკოლოვისა, „ ვ ლ ა დ ი კ ა ვ კ ა ვ ი ს ბ ა ღ ო ს ნ ო ბ ა და თ ერ გ ი ს ხ ე ო ბ ა ში ა ბ რ ე შ უ მ ი ს მ ო ყ ვ ა ნ ა“—სტ. ვ. ნ. ბ ე ე ვ ს კ ი ს ა და „ ღ ვ ი ნ ი ს ბ ა კ ე თ ე ბ ა ზ ე დ“—სტ. ბ. ვ. სტრუვესი.

„ დ რ ო ს ე ბ ი ს“ კ ო ნ ტ რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ც ი ა

თ ე ლ ა ვ ი, 25 ი ვ ლ ი ს ს. ჩვენს ქალაქში, როგორც მოგეხსენებათ, გადმოიტანეს შკოლა, რომელიც ამ ერთი წლის წინათ საცხენისსში იყო.

ამ შკოლის გადმოტანის მიზეზი იყო ლეკების არეულობა.

თელავში ეს შკოლა ჯერ მოათავსეს სამის თვით ნადიკვარზედ თ. ჭავჭავაძის სახლში, რომელიც იყო დაჭერილა თელავის სამაზრო მოსწავლეებისათვის. სამ თვეს უკან შკოლა გადაიტანეს ამვე ნადიკვარში თ. ტატო მაყაშვილის სახლში, სადაც დღემდინ იმყოფება.

ახლა ორიოდე სიტყვა თვით შკოლის შინაგან მდგომარეობაზე.

პირველად ამ სასწავლებლის სმოტრიტელმა უფ. ქარაკიშიშევმა, ყურადღება მიაქცია მოსწავლეებზედ: ჩაცვა, დახურა, ასვა და აჭამა კარგათ. მაგრამ გავიდა ხანი, სმოტრიტელს თითქო დაავიწყდა სასწავლებელი და ბოლოს ისეთს მდგომარეობაშია ეხლა ეს შკოლა, რომ უარესს ძნელად წარმოიდგენს კაცი. დავიწყებ თავიდამ:

დირექტორისაგან დადებული არის, რომ სმოტრიტელმა იყიდოს ხორბალი, დააფქვევინოს და გამოაცხობინოს და როგორც თვითონ მიირთვას პური, იგეთი ყმაწვილებსაც აჭამოს. მაგრამ ამას ჰყავს ერთი მოჯამაგირე, „პოვარიც“ არის და ხაბაზიც, როგორც მოსწავლეების, აგრეთვე სმოტრიტელისა; ეს მოსამსახურე, სმოტრიტლის ბრძანებით; აიღებს ფქვილს, გამჭიკაცავს და გამოაცხობს სმოტრიტლისთვის თეთრს პურს, დანარჩენს აქედგან, რომელსაც ეძახიან ანაცერს, გაუცრელს პურში გაურევს, გამოაცხობს მოსწავლეებისთვის პურნ და მოიტანს სტოლზედ. საზიზღარია ამ პურის, არა თუ ჭამა, დანახვაც; მაგრამ შაგირდებს მეტი რა გზა აქვთ, უნდა სჭამონ, თუ არ უნდათ შიმშილით სიკვდილი. ხ მირად ამ პურის ჯოხები და ბზე გაეხირიბათ ყელში, დაიწყებენ ხველებას; მაგრამ ბოლოს ამოიღებენ ამ ჯოხს და პურს კი როგორც იქნება გადაყლაპავენ. .

ამ შკოლას ახლა სამი სმოტრიტელი ჰყავს: პირველი სმოტრიტელი არის თვითონ უფ. ქარაკიშიშევი, მეორე მისი მეუღლე და მესამეც მათი მოახლე. თუ რამე მოხდა შკოლაში, ან შაგირდმა რამე სთქვა, მოახლე წაიღებს ამბავს ქალბატონთან, ქალბატონი ბატონთან! ბატონი შემოვარდება შკოლაში და იტყვის:

— ვისაც სახლში უკეთესი პური გიჭამიათ ისევ იქ მიბრძანდით! რა უჭირს ამ პურს!?

და დასამტკიცებელად თავისის სიტყვებისა აიღო პატარა პურის ნატეხი და დაუწყო ჭამა; მაგრამ მალე გაბრუნდა კარიდორისკენ და გადაგდო ის პურის ნატეხი. . .

შემდგომ ამისა შემოიტანენ სუფს, რომელსაც თუმცა ეძახიან ბრინჯის სუფს, მაგრამ ბევრიც რომ ეცადოს მოსწავლე, ერთს მარცვალს -ბრინჯსაც ვერ იპოვნის.

ბაათავეს სუფი; შემოიტანენ შემწვარ ხორცს; 23 მოსწავლისათვის და ორი მოჯამაგირისათვის ყიდულობენ 7 გირვანქას და იმასაც ნუადღისას. აბა იფიქრეთ—ან როგორი ხორცი უნდა იყიდონ და ან რა უნდა შეხვდეს ამ 25 სულს!

ამას გარდა ნუ დაივიწყებთ, რომ ამ ოც-და-სამს მოსწავლეში თითქმის ნახევარი თვითონ სმოტრიტლის კერძო შიგირდები არიან და ესენიც სახელმწიფო ხარჯედ არიან და იმათი შემოტანილი ფული კი, რასაკვირველია, უფ. ქარაკიშიშევის ჯიბეში ჩადის.

შკოლის სახლი იყოფა 8 ოთახად; აქედგან მაღლა ეტაჟის ოთხი ოთახი და კარიდორი უჭირავს თვითონ სმოტრიტელს, რომელმაც: რაც რომ თავისი და ცოლის ნათესავები ჰყავს, სულ აქ მოიყვანა, და ვინც კი სახელმწიფო მოსწავლე ბალკონზედ გაიელის და შეაწუხებს, ვაი იმის ბრალი: დაუძახებს ცალკე და ეტყვის: „ამიერიდგან აღარ გაბედო ბალკონზედ გავლა და შეწუხება ჩემის ნათესავებისა! და რომ ჩაინერგო გულში ჩემი სიტყვა, წადი და უსადილოთ დარჩი!“ რა ქნას საწყალმა მოსწავლემ? ამის მეტი არც ბალკონი აქვს იმ სახლს და არც სხვა საფარი; უნდა დაალამოს მზეზედ ზოგმა უქუდოდ და ზოგმა ფეხშიშველამ. . .

ღალამდა; ახლა უნდა ჩაი დალიონ. ამ ოც-და-ხუთ სულისთვის ორი ჩაის კოვზს ჩაჰყრიან ჩაიდანში, სამი მეოთხედი გირვანქა შაქარი უნდა გაადნონ თბილს წყალში და იგრე დაურიგონ.

დალიეს ჩაი; ახლა უნდა დაიძინონ. მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ვერც ღამე დაიძინებენ ხოლმე ჭუჭყისა და რწყილებისაგან. აბანოში თვეში, თვენახევარში ერთხელ დადიან ლ ო ბ ო ც ი ვ ს სალდათის აბანოში მუქთად. აბა რა ჭუჭყი უნდა გააცალოს ციმა წყალმა უსაბანოთ?

ყველა ამ უწესოებაში და ამნაირად საცხენისის (ახლა თელავის) შკოლის დაცემაში მე არ ვამტყუვნებ სხვა მასწავლებლებს, რადგან ნამდვილად შემიტყვია, რომ ესენი მასწავლებლებთა პედაგოგიურ რჩევის დროს ხშირად შენიშნავდენ ხოლმე სხვა-და-სხვა ნაკლულევანებას შკოლისას; მაგრამ ჩვენს ზედამხედველს ყველა ეს შენიშვნები ერთს ყურში შედის და მეორედამ გადის.

ნ ა შ ა გ ი რ დ ა ლ ი

ო მ ი ს შ ე მ დ ე გ

რ უ ს ე თ ი

გაზეთს „ ო ბ ზ ო რ ში“ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი:

„ჩვენ გვაცნობებენ, რომ დერვიშფაშას გამოუგზავნია ღენ. ო კ ლ ო ბ ჟ ი ოსთან შტაბის პოდპოლკოვნიკი ჰასსანბეი, რომელსაც მინდობილი აქვს მოელაპარაკოს ჩვენს მთავრობას ბათუმისა და სხვა იქაური ადგილების ჩვენი ჯარებისაგან დაჭერაზედ. პოდპოლკოვნიკი ჰასსან-ბეი წავიდა უკვე ბორჯომში, სადაც უნდა გამოეცხადოს მისს უმაღლესობას ქავკასიის არმიის მთავარ-სარდალს“

— რუსული გაზეთები ძალიან მოლრუბლული შუბლით უყურებენ ახლანდელს პოლიტიკურ მდგომარეობას. „ბოლოსი“ მაგალითად ამბობს, რომ ბერლინის ტრაქტატზე დათანხმება ჩვენის მხრით დიდი მსხვერპლის მოტანა იყოვო; ამ ტრაქტატის ძალით, ბოლგარიაში გაჩერებული რუსეთის ჯარი 50,000 კაცი ორ მტერს შუა იქნება მომწყვდეულიო: ერთის მხრით ოსმალები და იმათი მომხრე ინგლისელები შეიძლება მოადგნენო და მეორეს მხრით ავსტრიისა უნდა გვეშინოდესო. ამის გამო, ხსენებული გაზეთის სიტყვით, ჩვენი მმართველობა იძულებული უნდა იყოსო, რომ ხერსონის, კიევის, პოდოლის და სხვა სამხრეთ გუბერნიებში უკანასკნელი 400,000 ჯარი ჰყავდეს ყოველ შემთხვევისათვის დამზადებულიო.

— „პოლიტიკურს კორრესპონდენციაში“ იწერებიან სტამბოლიდამ, რომ სან-სტეფანოში და იმის ახლო-მახლო დაყენებული რუსის ჯარები თავიანთ პოზიციებს ამაგრებენ და თითქო კიდევ საომრად ემზადებიანო. სხვა გაზეთები კი სრულებით ამის წინააღმდეგ ამბავს გვაცნობებენ: რუსეთი ხომალდებს ჰქერაობს და ამ დღეებში ოდესსისაკენ უნდა დააბრუნოს სტამბოლის მახლობლად დაბანაკებული თავის ჯარები.

ოსმალეთი

ხონთქარს 23 ივლისს მოუწერია ხელი და დაუმტკიცებია ბერლინის ტრაქტატი.

—„რეიტერის სააგენტო“ გვაცნობებს შემდეგ ამბავს, რომელიც 20 ივლისს სტამბოლიდამ მიუღია: ოსმან-ფაშამ გასცა ბრძანება, რომ სტამბოლის სომაგრეებზე და ციხეებზე მუშაობა შეაჩეროონ, რადგან, იმედი არისო, რომ რუსებთან შეტაკება აღარ გვექნება და ამის გამო სტამბოლის გამაგრება ამ ჟამად საჭიროო არ არისო.

საფრანგეთი

ზოგიერთს ფრანცუზულს გაზეთებში დაბეჭდილია, მაკ-მაჰონს განზრახვა აქვსო, რომ ამ მოკლე ხანში მიატოვოს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტობის თანამდებობა და სრულიად მიატოვოს სამსახური.

მოგეხსენებათ, რომ ის შვიდი წლის ვადით იყო (1873 წელს) არჩეული, ე. ი. 1880 წლამდინ. მაგრამ ახლაც რომ მიატოვოს პრეზიდენტობა, არა გვგონია, რომ საფრანგეთის რესპუბლიკელებმა ამისათვის თავი მოიკლანო.

ნარევი

იტალიურს გაზეთებში დაბეჭდილია რამოდენიმე ცნობა ბარიბალდიზედ, რომლიდამაც ეტყობილობთ, რომ დიდებული პატრიოტი ამ ჟამად ისე კარგათ არისო, რომ ლოგიხს დიდი ხანია ძოშორდა და თავისუფლათ დაიარება ჯოხებითაო. ჯანზედ ისე კარგათ იმყოფებაო, რომ დოქტორებს იმედი მიუციათო, რომ ის ჯერ კიდევ კაიხანს იცოცხლებსო.

*
* *

მოგეხსენებათ, რომ ბერლინის სასამართლომ სიკვდილით დასჯა გარდაუწყვიტა ბედელს, რომელმანც თოფი ესროლა ბერმანიის იმპერატორს და იმის მოკვლა განიზრახა. ბერლინის გაზეთებში იწერებიან, რომ ეს ბედელი ამ ჟამად ძალიან ავათ არისო; მაგრამ საუკეთესო ექიმები ახვევიან თავს და ცდილობენ მოარჩინონო! უნდა მოარჩინონ იმისთვის, რომ მერე სიკვდილით დასაჯონ.

*
* *

ერთს ამ საუკუნის საფრანგეთის გამოჩენილ მწერალს პოლ-ლუი კურიეს დაუდგეს ამ დღეებში ქალაქ ტურში ძეგლი, რომელზედაც აწერია შემდეგი სიტყვები: „პ ო ლ-ლ უ ი კ უ რ ი ე ს— გ ო ნ ი ე რ ე ბ ი ს ა და თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს მ ე ბ რ ძ ო ლ ს“

ძეგლის კურთხევის დროს ბევრი გამოჩენილი პირები დაესწრნენ ტურში და ლხვათა შორის ჟულ სიმონმა წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა, რომელშიაც ის ჰაზრი გამოხატა, რომ პოლ-ლუი კურიე მუდამ ხალხის განთავისუფლებისათვის და რესპუბლიკისათვის იბრძოდაო და რასაც ის ნატრობდა საფრანგეთისათვის, იმას ჩვენ დღეს მოვესწარითო.

განცხადებანი

ისყიდება ფუ. ჩარკვიანის, ბრიქუროვის და ბართანოვის წიგნის მაღაზიებში

„დავა“

ანუ

ტოჩკა და ზაპეტაია

კომედია ხუთ მოქმიდიბად

თ. ბიოკრბი ერისთავისა

ფასი ექვსი შაური

(5 – 3)

ისყიდება: ქ ა ლ ა ქ ში—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თ ე ლ ა ვ ს—ი ო ს ე ბ ა ბ ა ბ ა ლ ო ვ ი ლ ი ს ა ნ, ქ ა რ ე ლ ს—დავით ქეროჩაშვილთან, ხ ა შ ო ბ ი ს ა და ბ ე ჟ ა ნ ი ს უ ბ ნ ი ს უ ფ ჩ ე ტ ში, ს ო ბ ა ს ს — ზ ა ქ ა რ ი ა ა ბ ო ბ ო ვ ი ს ა ნ, ქ უ თ ა ი ს ს — ი ა კ ო ბ ო ბ ჰ ა ნ ე ზ ო ვ ი ს ა ნ და სვ. ცერვაძესთან ფ ო თ ი ში —ელისბარ ბაბალოვთან, ც ხ ი ნ ვ ა ლ ს —თ. ივ. თაქთაქოვთან, ს ა ქ ა ფ ე თ ს— თ. ნიკ. დიასამიძესთან, მ ე ჯ ვ რ ი ს ხ ე ვ ს—მასწ. მოსე ნათაძესთან, ბ ო ლ ო ბ ი—ს ტ. ზ ო ბ ო ე ვ ი ს ა ნ და თვითონ ავტორთან.

გაიხსნა თფილისში

ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ დუქნებში, № 2.

გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

ისყიდება თფილისში „ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში“ ქართული

„სამზარეულო წიგნი“

შედგენილი ქნა ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

ისყიდება თფილისში „ცენტრალური წიგნის მაღაზიაში“ ქართული სამზარეულო წიგნი“. შედგენილი კ-ნ. ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

რკ. გზა.	ღილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
ქუთაისი	9	21	5	18				
მკაუთა.	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი	1	44			4	42	2	46
ქ.ითილ.	5	49			5	81	3	23
ოიონი	6	57			6	75	3	75
სამტოვდია	7	51			7	73	4	29
ახ.-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი	9	50			9	75	5	42
ფოთი	9	83						
ახ.-სენაკი	10	14			1	18	-	66
სამტოვდია	11	5			2	6	1	14
ოიონი	12	13			3	4	1	69
ქ.ითილ.	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი	7	5	4	8	6	36	4	9
მკუთა.	8	50	6	59	9	8	5	4
ქუთაისი	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:

	მ.	კაპ
ქუთაისს, ფოთს	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვიტას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქუთაისს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვიტას გარდა. ოზურეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ.
და სამზღვარ გარეთ:	
ერთ წიგნის	4
დ. ბ. ... (სამი ფისხალი)	8

მაზარდა

	მან	კაპ
თფილისი, 29 ივლისს.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	1	75
ფქვილი წითელი	1	60
ქერი ფუთი	1	25
ბამბა ერევნისა, ფუთი	7	—
—ამერიკისა, ფუთი	7	30
ბამბა ტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთ.	8	—
—მარაგამისა ფუთ.	4	—
ბრეშუბი ბუხუური სტ.	2	—
ქობი, ფუთი	6	50
მრინის სანთელი ფუთი.	9	—
სტეარინის სანთელი, ფ.	12	70
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	81
—ცხერისა, ლიტრა	—	81
სპირტი, ვედრო	5	20
შაქარი, ბოლ. ფუთი	7	80
—ფხვნილი ფუთი	6	50
ყაყა, გოგვალი, გირვ.	—	70
ზეთი ეუბეჯუთისა ფუთ.	13	—
თამბაქო, ხაშეალო ფუთი	8	50

თფილისის სამკურნალო

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათ მყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10 მდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყ., ქიუზარიანც—თვალისა და ხირურგიულ.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ბაქსტი ვენერიულისა და კანის ა. ბახუტოვი—საბ ბიო. და ბავშვის პეუნოვი—თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგანი, ბაქსტი—გულის და ნერვების. ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ბაქსტი გულის, ქიუზარიანცი—სიფილიტიკური და სამშილოჩნო ორგანების, ა. ბახუტოვი—ქალისა და ნერვების.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვერმიშევი—შინაგ., ა. ბახუტოვი—ქ ლისა და ბავშვების.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგანი ბაქსტი—გულისა და პეუნოვი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Іюля 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. ფელიქიშვილი. რედაქტორის. მესხი.